სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №23.1

ქ. ბოლნისი

26 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ **ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება"** (ს/კ 225396238) (შემდგომში "შემსყიდველი"), მისის წარმომადგენლის - დირექტორის **თეონა აბრამიშვილის** და მეორეს მხრივ, **ფ/პ კობა ტყეშელაშვილი** (პ/ნ 60002001135) (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი,

1.1. ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური ფესტივალის "სახილველის" გამარჯვებულთათვის 4 ერთეული სუვენირის (ოქროსფერი შეფერილობის, თითბერის, ქვის, მწვანე შეფერილობის პედესტალზე) მიწოდება cpv 18530000:

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

2.1. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3.შემსყიდველი უზრუნველყოფს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების" კულტურის სფეროს კურატორი ნინო ერისთავი).

5. ხელშეკრულების მოქმედების ადგილი და ვადა

5.1.საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბოლნისი. ს.ს. ორბელიანის ქუჩა N106. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. II სართული.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის -10 მარტამდე.

6 მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. **შემყიდველი ვალდებულია** ა)განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპექტირებისა განახორციელებს ააიკ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების" კულტურის სფეროს კურატორი ნინო ერისთავი.

ბ) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვადებითა და პირობებით.

6.2. **მიმწოდებელი ვალდებულია:** ა) უზრუნველყოს საქონელის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ესკიზი, ფორმა და მეტალის ხარისხი შეათანხმოს შემსყიდველს;

6.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულ ბის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელსეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
8.5. ხელშეკრულების 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2016 წლის 01 მაისამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"ა(ა)იპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება" (ს/კ225396238) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სს. ორბელიანის ქ. №106. ხაზინის ერთიანი ანგარიში , ბ/კ TRESG 22. ა/N GE24 NB0330100200165022 სახაზინო კოდი 74855 7520. ელ/ფოსტა kulturis.centri@yahoo.com. ტელ: 0358220064.

"მიმწოდებელი" ფ/პ კობა ტყეშელაშვილი (პ/ნ 60002001135) ქ. ქუთაისი. ნიკეას I შესახვევი N11. ბინა 26 . ფაქტიური მისამართი: ტბილისი სამტრედიის ქუჩაN13. ბნ N68. მომსახურე ბანკი: : სს „თიბისი ბანკი". ბ/კ TBCBGE22; ა/ა GE24TB7562536010100005.

ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის	ფ/პ კობა ტყეშელაშვილი
საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო	
გაერთიანება"	
დირექტორი	
თეონა აბრამიშვილი	